№203 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერფი ყაზბეგისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „მერფი ყაზბეგს“ (ს/კ: 400152106) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეტში მდებარე 26065 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №74.03.14.052) და 26867 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №74.03.14.067) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით:

ა) ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე არანაკლებ 32000 კვ.მ ფართის მქონე, არანაკლებ 200 (ორასი) სატვირთო ავტომანქანაზე გათვლილი ბეტონის ან/და ასფალტის

საფარიანი ავტოსადგომის შექმნა (მათ შორის: ავტოსადგომის ტერიტორიის სრულად შემოღობვა, გარე განათების, ვიდეოკონტროლისა და დაცვის სისტემების მოწყობა) და ფუნქციონირების დაწყება არა უგვიანეს 2016 წლის 1 სექტემბრისა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისათვის არანაკლებ 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება;

გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 16 (თექვსმეტი) თვის ვადაში, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებამდე მისასვლელი ბეტონის ან/და ასფალტის საფარიანი საავტომობილო გზისა და ხიდის მშენებლობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებით;

დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან არანაკლებ 4 (ოთხი) წლის განმავლობაში 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის 24 საათის განმავლობაში პარკირების საფასურის არა უმეტეს 5 (ხუთი) აშშ დოლარის ოდენობით განსაზღვრა, ხოლო 4 (ოთხი) წლის შემდგომ 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის 24 საათის განმავლობაში პარკირების საფასურის განსაზღვრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით;

ე) ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე არანაკლებ 13 000 კვ.მ ფართობზე სასაწყობე მეურნეობის შექმნა (რომელიც უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ღია და დახურული ტიპის (მათ შორის, სამაცივრე) საწყობ(ებ)ს, არანაკლებ 200 კვ.მ ფართის მქონე ადმინისტრაციულ შენობას, არანაკლებ 600 კვ.მ ფართის მქონე მაღალი გამავლობისა და მისაბმელიანი

ავტოტრანსპორტისათვის სარემონტო ნაგებობებს (ბოქსებს), სამრეცხაოსა და სარეზერვო ელექტრომომარაგებისათვის განკუთვნილ არანაკლებ 100 კვ.მ ფართის მქონე შენობას), აღჭურვა (მათ შორის: არანაკლებ 40-ტონიანი ამწისა და მძიმეწონიანი ავტოტრანსპორტის სასწორის განთავსება), ინფრასტრუქტურის მოწყობა (რაც უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ტერიტორიის სრულად შემოღობვას, გარე განათების, ვიდეო კონტროლისა და დაცვის სისტემების მოწყობას, სანიაღვრე არხ(ებ)ის გაყვანას, ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის მომარაგების სისტემის გამართვას) და ფუნქციონირების დაწყება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 18 (თვრამეტი) თვის ვადაში;

ვ) ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე არანაკლებ 20 (ოცი) ნომერზე გათვლილი სასტუმროს და არანაკლებ 300 კვ.მ ფართის მქონე სწრაფი კვების ობიექტის მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების დაწყება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 18 (თვრამეტი) თვის ვადაში;

ზ) ამ პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისათვის არანაკლებ 1 300 000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება;

თ) სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებული კონფიგურაციით ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონებიდან არანაკლებ 2000 კვ.მ ფართობზე ასფალტის ან/და ბეტონის საფარის მოწყობა, საჭირო კომუნიკაციებით (მათ შორის: ელექტროენერგიით, წყლითა და ბუნებრივი აირით) უზრუნველყოფა და ამავე ფართობზე აღნაგობის უფლების შეწყვეტის თაობაზე შესაბამისი შეთანხმების გაფორმება არა უგვიანეს 2016 წლის 1 ივნისისა.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სარგებლობის პირობების (გარდა „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით

გათვალისწინებული პირობებისა) შესრულების უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შპს „მერფი ყაზბეგმა“ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს წარუდგინოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ჯამური საინვესტიციო თანხის 5%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამავე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სსიპ – შემოსავლების სამსახურმა, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**